# ხაშურის მოამბე

№25(349) 11 ივლისი, ორშაბათი, 2022 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 ივლისს,გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა. საკრებულომ იმსჯელა და ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალიწინებული საკითხები.

დაბა სურამის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელის" კუთვნილი მიწის ნაკვეთის (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.308) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე პრეზენტაცია წარმოადგინა მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების უფროსმა ლია ჯიქურაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ამორტიზებული მოძრავი ქონების ჩამოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ მოხსენება გააკეთა მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა,რომელმაც აღნიშნა,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტს ბალანსზე გააჩნია ამორტიზებული მოძრავი ქონება,რომელიც საჭიროებს ჩამოწერას და განადგურებას, რაზეც მუნციპალიტეტეტის მერიამ 2021 წელს ჩაატარა ინვენტარიზაცია- შეფასება.

მანვე ისაუბრა ა(ა)იპ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის" (ს.კ 243918098) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.08.58.346.01.506), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტზე.

საკრებულომ მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)

იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ხელმძღვანელის, დავით ჩიქოვანის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. საკრებულომ დადებითად შეაფასა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობა საანგარიშო პერიოდში, მადლობა გადაუხადა მის ხელმძღვანელს და თითოეულ თანამშრომელს.

## ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებულ სასპორტო სკოლაში საჭიდაო დარბაზის მოწყობა მიმდინარეობს

„ მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, რაც ნამდვილად საამაყოა, ამიტომ მათ სათანადო პირობებს ვუქმნით, რათა სრულფასოვნად შეძლონ ვარჯიში და საკუთარი თავის წარმოჩენა. საბოლოო ჯამში,ასეთი პროექტები ხელს უწყობს პროფესიული სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას"- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული სასპორტო სკოლის შიდა სივრცის კეთილმოწყობა, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 88 346 ლარს შეადგენს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს იატაკის დაგება. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სამღებრო და გარკვეული კოსმეტიკური სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ სპორტსკოლაში, მსურველებისთვის სწავლება უსასყიდლოდ მიმდინარეობს სპორტის 12 ძირითად სახეობაში. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით

ხელს უწყობს მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და შემდგომ მომზადებას.

## სოფლების - ვაყისა და ტკოცის შემაერთებელი გზა სრულად რეაბილიტირებული იქნება

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ

ტკოცამდე მისასვლელი გზის მშენებლობა აქტიურად ხორციელდება. ამ ეტაპზე სამუშაოები სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ფლევის სკოლამდე მიმდინარეობს, პროექტის ფარგლებში, იჭრება გრუნტი, იხრეშება და სწორდება ტერიტორია, პარალელურად მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგება. უკვე დასრულდა სოფელ ფლევის სკოლიდან სოფელ ტკოცის ბოლომდე გზის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობაც, კეთდება საგზაო მონიშვნები. სამუშაოების მესამე ეტაპის ღირებულება, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, 2 469 997 ლარს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად ქურდაძემ და მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძემ, მათი განმარტებით, ფლევსა და ტკოცაში ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრობლემებს ქმნიდა, განსაკუთრებით კი უამინდობისას. ამჯერად, გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურით 2000-ზე მეტი ადგილობრივი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

# ეს ჩვენი წარსული, ეს ჩვენი ისტორიაა

ჩვენი წარსულის ნებისმიერი მონაკვეთი, რომელიც დღეს უკვე ისტორიაა, ყველა ინდივიდისთვის საინტერესო თემაა. არ აქვს მნიშვნელობა ეს მოვლენები შორეულ საუკუნეებში ხდებოდა, თუ უახლოეს წლებში. და თუ ეს მოვლენები აგერ, „შენს გვერდით“ ვითარდებოდა, უკვე ორმაგად საინტერესო ხდება.

დღეს, მკითხველს 1957 წლის იტორიულ პერიპეტიებს ვთავაზობთ. რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული ეს მცირე მასალები, რა თქმა უნდა, სრული სიცხადით ვერ გადმოსცემს იმ ეპოქის მთელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ფონს, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის მაშინდელ ყოფაზე, რომლის მომსწრენი დღესაც ბევრია ჩვენს გვერდით.

## აბანო სურამში კვლავ კეთილმოუწყობელია

არადამაკმაყოფილებელ მომსახურებას უწევს მშრომელებს სურამის კეთილმოუწყობელი აბანო. აბანოს აქვს ორი საერთო განყოფილება,რომლებშიც შვიდი შხაპიდან მხოლოდ სამი მუშაობს. ადმინისტრაცია არ ზრუნავს მოშლილი შხაპების ამუშავებისათვის, გარდა ამისა, აბანოში გამეფებულია ანტისანიტარია, არ იწმინდება ჰაერი, ნომრებსა და საერთო განყოფილებებში არ არის თაროები საპნისა და სხვა საჭირო ნივთების დასაწყობად, წესრიგშია მოსაყვანი ტანსაცმლის შესანახი კარადები,არცერთი კარადა არ იკეტება,ხოლო ზოგს კარები სრულებით არ აქვს, ამის გამო აქ ხშირად აქვს ადგილი ფულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის დაკარგვის შემთხვევებს. დღემდე ვერ მოწესრიგდა განათების საქმე საერთო განყოფილებებსა და ნომრებში. ყოველივე ამის გამო, სურამელი მშრომელები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომის მიმართ,რომელიც ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომმა ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს.

ა. მახვილაძე

## აგიტპუნქტი ცუდად მუშაობს

სატიველმა აგიტატორებმა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დაწყებისთანავე ფართო საგიტაციო მუშაობა გააჩაღეს ამომრჩეველთა შორის, კოლმეურნეებს შეასწავლეს საარჩევნო დებულება, გულდასმით გააცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები, ამჟამად ისინი ეწევიან დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას, ამომრჩევლებს გულდასმით აცნობენ მათს ბიოგრაფიას, შრომითს მოღვაწეობას და სხვ.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოების აჩევნებისათვის მზადების საქმეში აქ ყველაფერი რიგზე მაინც არაა, კერძოდ, სრულიად არადამაკმაყოფილებელია აგიტპუნქტის მუშაობა, რომელიც დღევანდელ მომენტში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. თვით აგიტპუნქტის შენობა გარედან კარგადაა გაფორმებული, ეჭვგარეშეა იგი ბევრ ამომრჩეველს იზიდავს, მაგრამ როგორც ცნობილია, აგიტპუნქტში ამომრჩეველთა მისვლის მიზანი ისაა, რომ ისინი იქ გაეცნონ არჩევნების დებულებას, მოისმინონ აგიტატორის საუბარი, მიიღონ დამაკმაყოფილებელი პასუხი მათთვის საინტერესო საკითხებზე და სხვ. ყველაფერი ამის გაკეთება კი სატივის აგიტპუნქტში შეუძლებელია იმიტომ, რომ აგიტპუნქტში არ არის გათბობა, სკამები, მაგიდები, აქ იშვათად შეხვდებით მორიგე აგიტატორს. აგიტპუნქტის ცუდ მუშაობაზე მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი,რომ იანვარსა და თებერვალში მხოლოდ ერთი ლექცია იქნა წაკითხული, ამ ხნის განმავლობაში აგიტპუნქტში არ მოუწყვიათ აგრეთვე ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრება, ხოლო რაც შეეხება ამომრჩეველთა კულტურულ მომსახურებას,ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. საინტერესოა, აგიტპუნქტის გამგე ამხ. ო. ბადრიშვილი როდისთვის ფიქრობს აგიტპუნქტის მუშაობის გამოცოცხლებას?

გ. კორკოტაძე

## ილიჩის ნათურები

ასრულდა გომელ კოლმეურნეთა დიდი ხნის სურვილი. მალე სოფლის საზოგადოებრივ შენობებსა და კოლმეურნეთა ბინებში აინთება ილიჩის ნათურები. დამთავრდა ელექტროკიოსკის მონტაჟი, სოფელში გაყვანილ იქნა მთავარი ელექტროხაზი, ამჟამად მიმდინარეობს ბინებში ქსელის გაყვანის სამუშაოები.

წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ჩვენი რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციისათვის. ვაყაში უკვე მზად არის ელექტროხაზები, მოელიან დენის გაშვებას. ელექტროფიკაციის სამუშაოები მალე დაიწყება სოფელ სატივის კოლმეურნეობაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რაიონში საგრძნობლად გაფართოვდა სოფლების ელექტროფიკაცია. გვერდისუბანში,ტეზერში,ქვიშხეთში,ზემო და ქვემო ოსიაურში და სხვაგან ფერმები, საკოლმეურნეო ნაგებობანი, სასოფლო დაწესებულებები, ასობით კოლმეურნეთა ბინები განათებულია ელექტრონის შუქით. მთელ რიგ სოფლებში ელექტროდენი გამოყენებულია საკოლმეურნეო წარმოებაში - პირუტყვის საკვების დასამზადებლად, წისქვილების ასამუშავებლად და სხვა შრომატევად სამუშაოებში.

## მშრომელთა მოთხოვნებს ანგარიში უნდა გაეწიოს

ღართა რაიონის ცენტრიდან საკმაო მანძილით დაშორებული სოფელია. მაგრამ არა გვგონია, რომ ამის გამო იყოს გაძნელებული კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. სოფელში რადიო არ არის, ტელეფონი არ მუშაობს, ზედმეტია ლაპარაკი კინომომსახურებაზე, არ მოწესრიგდა ადრესატებისათვის საფოსტო გზავნილების დროულად ჩაბარების საქმე, ხელისმომწერლები ჟურნალ-გაზეთებს 8-10 დღის დაგვიანებით ღებულობენ. კვლავ დაუკმაყოფილებელია სოფლის მშრომელთა მოთხოვნა სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ. მოსახლეობა წყალს დღესაც ორი კილომეტრის მანძილიდან ეზიდება.

ასეთი მდგომარეობა წლობით არ გაგრძელდებოდა, რომ ღართის კოლმეურნეობისა და ღუდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები ზრუნავდნენ მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სხვა თუ არა, ის ხომ ადვილი შესაძლებელია, რომ მეზობელი ხცისის კოლმეურნეობის მსგავსად შეძენილი იქნას რადიომიმღები, რომელიც მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებას ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა,მაგრამ აქ ამაზე არავის ფიქრობს.

ღართის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები უნდა გაუმჯობესდეს.

გ. გალოშვილი,
ღართის საშუალო სკოლის მოსწავლე

## რკინიგზელები საშუალო განათლებას იღებენ წარმოებას მოუწყვეტლივ

უკანასკნელ წლებში, ბევრმა ხაშურელმა რკინიგზელმა მიიღო საშუალო განათლება წარმოებას მოუწყვეტლივ და წარმატებით განაგრძობს შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ. წელს რკინიგზის ხაშურის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში სიმწიფის ატესტატის მისაღებად ემზადება მრავალი მუშა და მოსამსახურე. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში არის ორი მეთერთმეტე კლასი, სადაც 62 მოსწავლე სწავლობს, შარშან კი 42 ახალგაზრდა სწავლობდა.

რაც უფრო ახლოვდება სასწავლო წლის დამთავრების დრო, მით უფრო მეტი ენერგიით სწავლობენ გამოსაშვები კლასის მოსწავლეები ვ. აბაიაძე, ბ. ლევიძე, დათიაშვილი და სხვები.

## ტელეფონი სოფელში

ხაშურის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში ყოველწლიურად ფართოვდება სატელეფონო ქსელი. ამ დღეებში დამთავრდა სატელეფონო მავთულების გაყვანა სოფელ ტაშისკრის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა უკვე დაკავშირებულია ტელეფონით რაიონის ცენტრთან. უახლოეს დღეებში დამთავრდება სატელეფონო ხაზების გაჭიმვა სოფელ ხალებისა და სატივის კოლმეურნეობებში. მეკავშირეთა ბრიგადის წევრები გ. კაპანაძე, გ. ლომსაძე, მ. ღონღაძე, თ. ღონღაძე წარმატებით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის,ცდილობენ საპირველმაისო დღესასწაულისათვის დაამთავრონ კიდევ ორი სოფლის ტელეფონიზაცია.

## შემოქმედებითი შრომის დღეებია ვაყაში

დიდი შემოქმედებითი შრომის დღეებია სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვა, კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად სწრაფად ითესება საგაზაფხულო კულტურები. სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ა. აკოფოვი) შეუფერხებლად ამუშავებს მანქანებს, მექანიზატორებმა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარეს საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა და ახლა წარმატებით თესავენ შაქრის ჭარხალს. თესვაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტრაქტორისტები გ. აკოფოვი, ა. ბარათაშვილი, ა. მექერაშვილი, კოლმეურნეები ამბარცუმ, არუთელ მოსიაშვილები, სტეფანე მეზურნიშვილი და სხვები.

## წერილები რედაქციას

## დაპირება არ სრულდება

საქმისადმი ცალმხრივად მიდგომის მაგალითია ალი-ხაშურის მიმართულებით ავტობუსების მარშრუტის აღდგენის გაჭიანურების ფაქტი. ცნობილია, რომ ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორა ალელ მშრომელებს ხაშურსა და ალს შორის ავტობუსის მიმოსვლის აღდგენას დაპირდა მიმდინარე წლის მარტიდან, მაგრამ დაპირება დღესაც შეუსრულებელია იმის გამო, რომ კოლმეურნეობებისა და რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების ხელმძღვანელებმა, რომელთაც ევალებათ ამ მიმართულებით საავტომობილო გზის შეკეთება,დაივიწყეს, რომ უვარგის გზებს მწყობრიდან მალე გამოჰყავს მანქანები. ალის კოლმეურნეობამ დღემდე მხოლოდ 2-3 კილომეტრის სიგრძის გზაზე მოახერხა ხრეშის გამოზიდვა, ვაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი რამდენიმე ურემი სილის გამოზიდვით დაკმაყოფილდა. ამ მხრივ არაფერი არ გაუკეთებია ნაბახტევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ქურდაძეს.

ალის, ნაბახტევის და ვაყის კოლმეურნეობების ხელმძღვანელები უგულებელყოფენ რა ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის მოთხოვნას საავტომობილო გზის შეკეთების შესახებ, ამით ისინი უგულებელყოფენ აგრეთვე სოფლის მშრომელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საქმესაც, რაც დანაშაულია.

გ. ახალკაცი,
ალის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი

## ელექტრონი სოფელში

გასულ წელს კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ელექტროდენის გამოყვანა სოფელში. ახლა აგარის ქარხნიდან ვაყაში გაჭიმულია ელექტროხაზები, ვაყასა და ზემო აძვისში აგებულ იქნა ორი ელკიოსკი,სოფელი დაიქსელა ელექტროხაზებით. ელექტროსინათლე გაჰყავთ ფერმებში, კანტორაში, სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და მშრომელთა საცხოვრებელ ბინებში. ამ საქმეს ხმარდება 200.000-მდე მანეთი.

მალე ვაყელ კოლმეურნეთა ბინებს გაანათებს ილიჩის ნათურები.

# ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24)

ჩვენ საკუთარი მკერდით დავიცავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ძვირფას მონაპოვარს, რკინის კედლად გარს შემოვერტყმევით ხალხთა საყვარელ ბელადს - დიდ სტალინს, კიდევ უფრო ავამაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს და საწარმოო დავალებას 150%-ით შევასრულებთ“.

იმავე დღეს ჩატარდა სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგიც. ცნობამ, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ვერაგული მოქმედების შესახებ, მუშები უდიდესი მრისხანებით აღავსო” და „მათ ერთხმად მოითხოვეს სამშობლოს გამცემელთა ბანდის დახვრეტა”.

სადგურ ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელოდ გამართული მიტინგის მონაწილეებმა „ერთხმად მოითხოვეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა განადგურება“.

2 მარტს ხაშურის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა გამოთქვეს თავიანთი გულისწყრომა: „...მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილენი, პირსისხლიანი ფაშიზმის მოსყიდული აგენტები ცდილობდნენ სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახის განადგურებას, სამგზის წყეულები ბინძური ზრახვების მისაღწევად არაფერს ზოგავდნენ, მაგრამ მათ დანაშაულზე წაუსწრეს. ისინი საბჭოთა ქვეყნის ფოლადის ქუსლით უნდა გაისრისონ“.

გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიტინგი გაიმართა რკინიგზის მოზარდთა სრულ საშუალო სკოლაში. აქაც ყველა გამომსვლელი ერთხმად მოითხოვდა ხალხის მტრების განადგურებას მოითხოვდა.

4 მარტს, ცვლებსა და ბრიგადებში კვლავ გაიმართა სახელდახელო მიტინგები ელდეპოში. გამოსული ამხანაგები „ერთხმად მოითხოვდნენ ხალხის გათახსირებული მტრების ფიზიკურ განადგურებას.

-არავითარი შებრალება ფაშიზმის პირსისხლიან აგენტებს, სამშობლოს გამცემლებს. გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი შხამიანი გველებისაგან! – ასეთია ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი მოთხოვნა“.

სავაგონო დეპოს ცვლებსა და ბრიგადებშიც გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგები. აქაც, მიტინგზე, გამოსული ამხანაგები „მტრებისადმი უდიდესი გულისწყრომითა და სიძულვილით აღნიშნავდნენ, რომ ფაშიზმის აგენტები: ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და სხვები თავიანთი ბინძური ზრახვების განხორციელებისათვის ყველა საზიზღრობას მიმართავდნენ.

-ჩვენ მოვითხოვთ მკვლელთა, ჯაშუშთა, გამცემელთა, „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა განადგურებას! – ასეთია მათ მიერ მიღებული რეზოლუცია“.

რაიმიწგანის, სოფმომარაგების და წყალთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა მიტინგმა ერთხმად მოითხოვა „გარეწრები, რომლებსაც ადამიანის ყოველგვარი მსგავსება დაკარგული აქვთ, უნდა მოისპონ, მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს ბედნიერ საბჭოთა მიწაწყალზე” .

პჩ/5-ს მუშა-მოსამსახურენი მოითხოვდნენ „ფაშისტური ქვეყნების დაქირავებული ჯაშუშები: ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, ზელინსკი და სხვები აღგვილი უნდა იქნან პირისაგან დედამიწისა“.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 13 მარტს გამოიტანა განაჩენი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე. 16 მარტს, ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ განაჩენს თან ახლავს გამოხმაურებები.

14 მარტს რკინიგზის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოსულები „ერთხმად გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენის გამო. მათ პირობა დადეს, რომ ხალხის ამ უსაზიზღრესი მტრების პასუხად გააძლიერებენ მუშაობას, არ დაუშვებენ ავარიებს და საწარმოო გეგმებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებენ.

ჩვენ, მხურვალე სალამს ვუძღვნით სახელოვან შინსახკომელებს და სტალინურ სახალხო კომისარს ნიკოლოზ ჟუკოვს, რომლებმაც გამოავლინეს ღრმად შენიღბული მტრები, პირობას ვდებთ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ დიადი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო“.

15 მარტს ხაშურის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეები გამოეხმაურენ სასამართლოს განაჩენს. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „ჩვენ, მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად ღრმა კმაყოფილების გრძნობით მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შეთქმულთა მიმართ. კიდევ უფრო დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და საწარმოო-საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებთ“.

რკინიგზის სამასალო საწყობის მუშა-მოსამსახურეებიც სიხარულით შეხვდნენ ხალხის მტრების მიმართ უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. „ფაშისტურ ბანდას პროლეტარულმა სასამართლომ ღირსეული სასჯელი მიუზღო. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ვინც ხელს შეუშლის კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, ის ისეთივე პასუხს მიიღებს, როგორიც მიიღეს ნ. ბუხარინმა, ა. რიკოვმა, გ. იაგოდამ და სხვებმა”, - აღნიშნავენ ისინი.

**საქართველოს** კპ ხაშურის რაიკომის ბიურო 1937 წლის 5 ივლისის დადგენილებით პარტიიდან გარიცხული იქნა შ. ნებიერიძე. 1937 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ.ნებიერიძეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და აგიტაციისთვის მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს საგამომძიებლო სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით, **გაუქმებულია საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეულის 1937წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება შ. ნ ნებიერიძის მიმართ. საქმე შეწყვეტილია დანაშაულის არ არსებობის გამო.... **რეაბილიტირებულ იქნა შ. ნებიერიძე პარტიის ხაზითაც...**

იპოლიტე ილიას ძე ქურდაძე 1929 წლის 12 ოქტომბერს გაირიცხა სკკპ რიგებიდან წმენდასთან დაკავშირებით, როგორც არაკომუნისტური ელემენტი. **საქართველოს** კპ ცკ-მა დაადასტურა ი. ი. ქურდაძის სკკპ რიგებიდან გარიცხვა **მენშევიკურ** ორგანიზაციაში არალეგალური მოღვაწეობის **ბრალდებით.**

1931 წლის 12 თებერვალს ი. ი. ქურდაძე დაკავებულ იქნა შინსხდომის მიერ ანტისაბჭოური მოღვაწეობისთვის და 30 აპრილს მიესაჯა სამი წლით გადასახლება, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილებისა და რესპუბლიკის პროკურატურის 1989 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ქურდაძე რეაბილიტირებულ იქნა დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

1936 წელს პარტიული დოკუმენტების შემოწმებისას, ა/კ რკ. ხაშურის კვანძის პარტიულმა კომიტეტმა პარტბილეთი ჩამოართვა კონდუქტორ დავით ფარსადანის ძე გელაშვილს. გარიცხეს პარტიის რიგებიდან, რადგან ბრალდებად წაუყენეს 1918-1921 წლებში მენშევიკურ პარტიაში მოღვაწეობა. საქ. კპ პარტკოლეგიამ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება.

1936 წელს დ. ფ. გელაშვილმა ორჯერ მიმართა უმაღლეს ორგანოებს პარტიის რიგებში აღდგენისათვის, მაგრამ მისი თხოვნა არ განხილულა გაუგებარი მიზეზის გამო. **ორი** წლის შემდეგ ა/კ რკ. სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა დ. ფ. გელაშვილი აღადგინა პარტიაში, **მაგრამ** 1938 წლის 18 აპრილს დააპატიმრეს და ანტისაბჭოური პროპაგანდისა და აგიტაციისთვის შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით 21 აპრილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

1956 3 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით **დ. გელაშვილის მიმართ გაუქმდა** 1938 წლის 21 აპრილის განაჩენი დანაშაულის **შემადგენლობის** არარსებობის გამო.

**საქართველოს** კპ ცკ ბიუროს 1990 წლის 10 სექტემბერს დადგენილებით **რეაბილიტირებულნი** არიან: გიორგი იოსების ძე გიგაშვილი, სიკო ( სიმონ) გიორგის ძე ჯებისაშვილი, მიხეილ გიორგის (სიმონ) ძე ქურდაძე, სერგო მიხეილის ძე ქურდაძ, ალექსანდრე დავითის ძე ხვადაგიანი, გიორგი ვარლამის ძე ბეღელიძე.

30-იან წლებში ქვეყანაში განხორციელებული რეპრესიების გამოძახილი ხაშურსა და მის რეგიონში ჩვენი ისტორიის ნაწილია, ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია რაიონის სახალხო მეურნეობის და განათლების შემდგომ განვითარებაზე, რაც თვალნათლივ გამოჩნდა შემდგომ წლებში. ამიტომ აუცილებელიცაა მისი ღრმად შესწავლა და გააზრება თუნდაც ერთი რაიონის მაგალითზე. ამისთვის საჭიროა სათანადო საარქივო მასალების შესწავლა, რასაც სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ. მარტო საგაზეთო მასალით კი საკითხის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია.

* * *

20-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით 30-იანი წლების დასწყისიდან ქვეყანაში დიდი ყურადღება მიექცა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხს. ქვეყნის სტაბილური მდგომარეობა, როგორც შიგნით, ასევე მის გარეთ დიდად იყო დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის დაჩქარებული ტემპით განვითარებაზე. ამ მიზანს ემსახურებოდა პირველი (1928-1932) და მეორე (1933-1938) ხუთწლედების გეგმები. მართალია, ამ პერიოდში ხაშურში მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, გარდა სარკინიგზო ტრანსპორტზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, მაგრამ ამჯერად ყურადღება გვინდა, გავამახვილოთ ქვეყნის მასშტაბით 30-იან წლებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშათა არნახული ინიციატივისა და თვითმმართველობის კომუნისტური ფორმების განვითარებაზე, ქვეყანაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებზე, რომელმაც არნახული ეკონომიკური ეფექტი მოიტანა.

1935 წლის 30 აგვისტოს დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა შრომის ახალი რეკორდი დაამყარა – დღიურ საწარმოო ნორმას 14-ჯერ გადააჭარბა და სათავე დაუდო მოძრაობას, რომელიც მისივე სახელით არის ცნობილი. მალე მას სახალხო მეურნეობის თითქმის ნებისმიერ დარგში მიმდევრები გამოუჩნდნენ და სტახანოვურმა მოძრაობამ მთელ საბჭოთა კავშირში მასობრივი ხასიათი მიიღო. დონბასელმა რკინიგზელმა, მემანქანე პეტრე კრივონოსმა 2-ჯერ გაზარდა ორთქლმავლის ტექნიკური სიჩქარე. გორკის ავტოქარხნის მჭედელმა ალექსანდრე ბუსიგინმა ნორმით დაწესებული 675 მუხლა ღილაკის ნაცვლად ერთ ცვლაში 1050 ლილვი გამოჭედა. ყოველივე ეს ახალი მასობრივი შრომითი ინიციატივის სტიმული გახდა, ქვეყანაში დაიწყო წარმოების ნოვატორთა მძლავრი მოძრაობა, რომელსაც დიდი გამოძახილი ჰქონდა ხაშურში, განსაკუთრებით კი რკინიგზელებში.

1938 წლის 24 თებერვალს გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ წერდა: „თვითმპყრობელობის დროს, ხაშურის ორთქლმავალთა დეპოში მუშაობდა 24 მცირე ძალოვნების ორთქლმავალი, მათი საშუალებით ყოველდღიურად იგზავნებოდა 10-12 მატარებელი, თვითოეული 40 ათასი ფუთის სიმძიმით, რომელთა სისწრაფე საათში 18-20 კილომეტრი იყო. სურამის უღელტეხილზე მატარებლების გაგზავნა ყოველთვის იწვევდა შიშს, ეს იმიტომ, რომ მაშინდელი მატარებლები დადიოდნენ ხელის მუხრუჭებით და ხის „კალოტკებით“, „ვესტინგაუზის“ მუხრუჭები გამოყენებული იყო მხოლოდ სახალხო მატარებლებზე.

ორთქლმავლები, რომლებიც მიიღეს მენშევიკებმა თვითმპყრობელობისგან მუშაობდნენ შეშისა და ქვანახშირის საშუალებით. ამის შედეგად ისინი ძალიან მოკლე ხანში ფუჭდებოდნენ. მათი ბატონობის დროს 20 ორთქლმავალი გამოვიდა წყობილებიდან.

თითოეული მატარებელი უღელტეხილზე გადარბენას უნდებოდა 6-7 საათს. იყო შემთხვევები, როდესაც მატარებლები გვირაბში ჩერდებოდნენ, ამიტომ თბილისიდან მოსული მატარებლები, ხაშურის სადგურის ისედაც მცირე ლიანდაგებს ისე ავსებდნენ, რომ შეუძლებელი ხდებოდა მატარებლის მიღება ან გაშვება. თითოეული რონოდის მოცდენა დაახლოებით უდრიდა 400-500 საათს.

ლიანდაგზე, გვირაბებში გამეფებული სიბნელე, ორთქლმავლების სისუსტე, მუხრუჭების სრული უვარგისობა,- ყველა ესენი ჰქმნიდნენ უდიდეს საფრთხეს.

გავიდა დრო. ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, ხელი მოჰკიდეს რკინიგზის ტრანსპორტის საქმეს. ხაშურის სინამდვილეში ბევრი რამ გაკეთდა. სურამის უღელტეხილზე მუშაობა დაიწყო 60 მძლავრმა ორთქლმავალმა. ახლა ყოველდღიურად უღელტეხილის მიმართულებით იგზავნებოდა 18-20 მატარებელი თითოეული 1100 ტონის სიმძიმით.

ძველი დახავსებული მუხრუჭები შეიცვალა კაზანცევის და მატროსოვის მუხრუჭებით. ამრიგად, მძლავრი ორთქლმავლებისა და აღნიშნული მუხრუჭების საშუალებით მატარებლების დიდი ხნით დგომისაგან განიტვირთა სადგურ ხაშურის ლიანდაგები.

1932 წლიდან ხაშურის რკინიგზის ტრანსპორტმა კიდევ უფრო დიდი ცვლილება განიცადა. სურამის უღელტეხილის ელექტროფიცირების შემდეგ მუშაობა დაიწყო 14-მა ელმავალმა. მათი საშუალებით ახლა იგზავნება 17 მატარებელი.

თუ, მაგალითად, 4 მძლავრ ორთქლმავალს უღელტეხილისაკენ მიჰქონდა 2200 ტონა ტვირთი, ახლა ორ ელმავალს მიაქვს იმდენივე და კიდევ მეტი. ეს სიმძიმე წიფიდან მიაქვს ერთ ელმავალს.

რკინიგზის ელექტროფიკაციის შემდეგ ჩატარდა ლიანდაგების და ისრების რეკონსტრუქცია.

ოდესღაც ჩაბნელებული გვირაბი და ლიანდაგები, რომლებიც იწვევდნენ შიშს, განათებულია ელშუქით“.

ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, უდიდეს ძვრებს წარმოადგენდა ხაშურის რკინიგზისათვის. ეს კი ნიშნავდა, რომ მან საგრძნობლად იცვალა სახე. ამ სახეცვლილების საფუძველს წარმოადგენდა ის შრომითი აღმავლობა, რასაც ადგილი ჰქონდა ამ დროს ხაშურის რკინიგზელებში. ისტორიამ არაერთი სახელი და შრომითი გმირობის მაგალითი შემოინახა.

გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვიდან“ ზემოთმოყვანილ ვრცელ წერილს ავტორი ასე ამთავრებს: „ხაშურის რკინიგზის კვანძზე დიდია იმ ტრანსპორტელთა რიცხვი, რომლებიც დაეუფლნენ თავიანთი საქმის ტექნიკას, მუშაობენ უმარცხოდ, უავარიოდ.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

# დაუსრულებელი ზაფხული

გაუხვევ თუ არა ბორჯომის ხეობისკენ, გზაზე, ხელმარჯვნივ, ალბათ ათასგზის დაგინახავს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთადროინდელი, ფერგადაცლილი ფირნიში, რომელიც გამცნობს, რომ აქედან ქვიშხეთი იწყება. გამვლელთა დიდი ნაწილისთვის ეს ერთი მორიგი ტრაფარეტია, როგორიც გზაზე უამრავი გვხვდება - ზოგი მოგზაურობის სურვილს აღგვიძრავს, ზოგი რაღაცას გვახსენებს გაელვებით, ზოგს - საერთოდ უემოციოდ ჩავუქროლებთ, ვერ ვამჩნევთ. თუმცა, არიან ადამიანები, ვისაც საქართველოში სხვა არც ეგულება ქვიშხეთის ტრაფარეტისთანა, რომელიც ამცნობს, რომ აქედან იწყება ზაფხული, რომელიც მათ ბავშვობაში, ან ახალგაზრდობაში გაჩნდა და მას მერე გრძელდება.

სოფლის ყველაზე მაღალ ნაწილში ფართოეზოიანი სახლი, მაშინდელი სახელდებით - სასახლე - მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში აიგო. იქ წლების განმავლობაში სახლობდა შექსპირის მთარგმნელი, ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი

სურათზე: ვახტანგ ჯავახაძე, მურმან ლებანიძე, ლადო ასათიანის შვილი და შვილიშვილები და გურაბანიძეების ოჯახი, 1970 წ.

და ავტორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პუბლიცისტი დიმიტრი ყიფიანი თავის ოჯახთან ერთად. „ყიფიანების სასახლე“ სახალხო ქონებად, ცხადია, გასაბჭოების მერე იქცა. დიმიტრი ყიფიანი 1887 წელს მოკლეს სტავროპოლში. მისი შვილის, კოტე ყიფიანის მეუღლემ, ნინო ტატიშვილი-ყიფიანმა კი მამული ქართველ ხელოვანთა კავშირს გადასცა. 1924 წელს დიმიტრი ყიფიანის სახლი მწერალთა კავშირისა გახდა.

უსასრულო ზაფხულების არეალად სწორედ „ყიფიანების სასახლე“ იქცა. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული და 1990-იანების ბოლომდე აქ ცხელ თვეების ატარებდნენ ქართველი მწერლების ოჯახები, თვით მწერლები კი ძირითადად შაბათ-კვირას ჩამოდიოდნენ, თუმცა აქ ბევრი ნაწარმოებიც დაწერილა.

თუ მხოლოდ მოისმენ ქვიშხეთის მწერალთა სახლის დამსვენებელთა ემოციურ კომენტარებს, ან ჩუმად დააკვირდები, როგორ ელაპარაკებიან ერთმანეთს საერთო მოგონებებზე, რა ამბებს იხსენებენ, შეიძლება დაასკვნა, რომ „ქვიშხეთი“ ყოფილა ძალიან ექსკლუზიური ადგილი ძალიან ჩაკეტილი წრისთვის და ამ ჩაკეტილი წრის აქეთ მისი მნიშვნელობა აღარ აღწევს - სხვები მას ვერ აღვიქვამთ.

სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. ცხადია, ღობით გარშემორტყმული დასახლება შექმნიდა კიდეც ჩაკეტილ წრეს, რომლის შიგნითაც საერთო მოგონებები იწერება; ცხადია, იქაურობა დაექვემდებარებოდა საერთო წესს, საერთო აურას, რომელიც იქ მყოფებს თავს არასდროს დაავიწყებს. ეს მოგონებები, შესაძლოა, პერსონალურად მათთვისაა ყველაზე ძვირფასი, მაგრამ - არა ექსკლუზიური; ქვიშხეთის მწერალთა სახლი ისეთ მოგონებებსაც შეიცავს, რომელთა მნიშვნელობაც ერთი სახლის დამსვენებლების სხვადასხვა თაობას სცდება და მთელი გასული საუკუნის კულტურული ცხოვრების აღსაწერადაც გამოდგება.

მოგონებების ერთი ასეთი ხაზი ისტორიულია და, პირველ რიგში, თავად დიმიტრი ყიფიანის სახელსა და ბიოგრაფიას უკავშირდება. ხაშურის დღევანდელი მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანს წლების განმავლობაში უცხოვრია. ამ ცხოვრების დეტალებზე ამჟამად შესანიშნავად მოგვითხრობს სახლ-მუზეუმში შეკრებილი ექსპონატები, ფოტოები და ხელნაწერები. მათი საშუალებით მეცხრამეტე საუკუნის უამრავი გარდამტეხი მოვლენა სულ სხვა პერსპექტივით იშლება. იქვე დგას დიმიტრი ყიფიანის აგებული აღდგომის სახელობის პატარა ეკლესია, სადაც ვერიკო ანჯაფარიძესა და შალვა ამირეჯიბს დაუწერიათ ჯვარი.

უკვე გასაბჭოებისა და მწერალთა სახლად ქცევის შემდეგ, იქ ხშირად მუშაობდნენ ლეო ქიაჩელი, შალვა რადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვები. 1937 წლის აგვისტოში ქვიშხეთშია გადაღებული მიხეილ ჯავახიშვილის უკანასკნელი ფოტოც. რევაზ კვერენჩხილაძეს თავის წიგნში „ქვიშხეთის ხიბლი“ ციტირებული აქვს ქეთევან ჯავახიშვილის მოგონება: „ჩვენი აგარაკი მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლის გვერდით იმყოფებოდა, ოროთახიანი ბინა ღია აივნით და პატარა ეზო. მყუდრო ადგილი იყო, ხმაური არ გვაწუხებდა. ერთი ოთახი მამას სამუშაოდ და დასაძინებლად დავუთმეთ, მეორეში კი ჩვენ - მე, დედა და ბავშვები ერთად მოვთავსდით“. ამ ეზოდან წაიყვანეს მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკისტებმა და ის უკან აღარ დაბრუნებულა.

ჯემალ ქარჩხაძის ვაჟმა, გია ქარჩხაძემ, მიამბო, რომ, როცა მშობლებმა პირველად წაიყვანეს ქვიშხეთში დასასვენებლად, იმ სახლში უქირავებიათ სწორედ ის ოთახი, სადაც მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ეს იმდენად მძაფრი ემოციური დამთხვევა იყო, რომ ქვიშხეთელების სასაუბრო თემებიდან წლების შემდეგაც არ გამოსულა.

ანა ჭაბაშვილმაც, რომელიც ქვიშხეთში პირველად 1964 წელს, 13 წლისა წაიყვანეს მშობლებმა და შემდეგ იქ წლების განმავლობაში დადიოდა ჯერ თვითონ, შემდეგ კი შვილები დაჰყავდა, ეს ამბავი გაიხსენა: „მახსოვს, ერთ ზაფხულს ამაზე ხშირად ვლაპარაკობდით. თვალსაჩინოდ გვქონდა წარმოდგენილი, რა როგორ მოხდა 1937 წლის იმ აგვისტოს“.

ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელი სახლის ბევრი მკვიდრის მოგონებებში ფიგურირებს დილაადრიან სასეირნოდ გამოსული მწერალი, რომელსაც ბავშვები ახლომახლო გორაკებზე, ექსკურსიაზე დაჰყავს. ასეთი რამეები ახალი იდეების, წიგნების, საფიქრალის გასაჩენად ბავშვებისთვის ყველაზე ძალდაუტანებელ გარემოდ იქცევა.

ქვიშხეთში დამსვენებელთაგან ყველაზე უფროსს, ფიზიკოს ლალი დევაძეს, რომელიც 4 წლის იყო, პირველად ქვიშხეთში რომ ჩაიყვანეს, ახსოვს უფროსი თაობის მწერლები: პოლიკარპე კაკაბაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, ნინო ნაკაშიძე. მათ წრეში ტრიალი სულ პატარა ბავშვებისთვისაც შემდეგ უკვე ძვირფას მოგონებად იქცა. იგი მოგვითხრობს: „ერთხელ ქვიშხეთის მწერალთა სახლში ჩამოვიდა ცნობილი მთარგმნელის, რიტა რაიტ-კოვალიოვას (ფოლკნერის, სელინჯერის, ვონეგუტის რუსულად მთარგმნელი) შვილი მარინა, ჩემი და თამრიკო გამსახურდიას თანატოლი. ძალიან დავმეგობრდით. მისგან გავიგე პირველად ფოლკნერისა და სხვა ამერიკელი მწერლების შესახებ“.

ასეთი შემეცნების, გასხივოსნების ეპიზოდები ყველას თავისი აქვს. ისევ ანა ჭაბაშვილი მიყვება: „ქვიშხეთში გატარებული პირველი ზაფხულიდან მახსოვს, რომ ერთხელ, მე, მოზარდი, ვიჯექი მაშინ ახალგაზრდა მწერლების ცოლების გვერდით და მათ საუბარს ვისმენდი. აქ იყო თეატრმცოდნე, ქ-ნი ნათელა ურუშაძეც, რომელმაც უცებ „ვეფხისტყაოსანზე“ საოცარი ლექცია წაგვიკითხა (მერე მივხვდი, რომ ეს ნამდვილი ლექცია იყო). ახლაც ცხადად მახსოვს მისი მონაყოლი ფერების შესახებ ვეფხისტყაოსანში, როგორ აღწერდა ნესტან-დარეჯანის მწვანე კაბას, საოცარ ნარინჯისფერს... აბსტრაქციონიზმზეც გველაპარაკა. „ცხოვლად დამაჩნდა სულს“. კიდევ ჩემთვის ქვიშხეთი არის დემნა შენგელაია, ვახტანგ ჭელიძე, ვახტანგ ჯავახაძე, ჯემალ ქარჩხაძე... მათთან ურთიერთობა, საუბრები მწერლობაზე, ქართველ მწერლებზე, ხელოვნებაზე, ბოლო წლებში - პოლიტიკაზე...“.

მარიშკა ჯავახაძე „ქვიშხეთელების“ ერთ-ერთი ბოლო თაობის წარმომადგენელია. ცხრა თვის იყო, პირველად ბებიამ და ბაბუამ რომ წაიყვანეს იქ. „ბაბუაჩემის, ვახტანგ ჯავახაძის ოჯახისთვის ქვიშხეთი სიმბოლური ადგილია. სანამ ბებიას ცოლად მოიყვანდა, ვახტანგი იქ მარტოც დადიოდა. დედაჩემმა და მამაჩემმაც ქვიშხეთში გაიცნეს ერთმანეთი. ის კოტეჯიც მახსოვს, სადაც დღეს ჩემი საყვარელი მწერალი, ჯემალ ქარჩხაძე ცხოვრობდა. სახლის წინ იჯდა ხოლმე ძელსკამზე და ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა. „სერებს“ ვეძახდით ერთ ადგილს. იქაც წავუყვანივართ. დეტალურად აკვირდებოდა ამა თუ იმ ცხოველსა თუ მცენარეს და ჩვენც გვიხსნიდა“.

საყვარელი მწერლის გაცნობის ისტორია ანა ჭაბაშვილსაც აქვს. „ქვიშხეთში დაიწყო ჩემი ოთარ ჭილაძით „გადარევა“.

13-14 წლის ვიყავი და ვხედავ, ოთარ ჭილაძე დგას ვერანდაზე, 31 წლის იყო მაშინ, თეთრი პერანგი ეცვა და გაზეთს კითხულობდა. მაშინ უკვე გამოცემული ჰქონდა ორი თუ სამი პატარა პოეტური კრებული. ყველას პირზე ეკერა „და სკამზე, როგორც ნანადირევი, კიდია შენი ლამაზი კაბა“. თვალი ვერ მოვაშორე, გავშეშდი, დამბლა დამეცა...

იქაურებს ყველას ახსოვს პოეტისა და მთარგმნელის, გივი შაჰნაზარის დაბადების დღის აღნიშვნა ყოველწლიურად, 23 აგვისტოს, რომელსაც თავისი ტრადიცია ჰქონდა - გრძელ მაგიდას ვუსხედით, ვისაც რა შეეძლო, მოჰქონდა სუფრაზე და გივი ლექსებს კითხულობდა, არაჩვეულებრივად მღეროდა...“.

თავად გივი შაჰნაზარი კი ქვიშხეთს დღეს ასე აფასებს:

„ძალიან ხანგრძლივი ეპიზოდი, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკას უკავშირდება, ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელი სახლის გარეშე



სურათზე: რუსუდან ფეტვიაშვილი

წარმოუდგენელია. ის, უბრალოდ, უქვიშხეთოდ ვერ იარსებებდა. ეს იყო ადგილი, სადაც ჩვენი კლასიკოსები მუშაობდნენ და წერდნენ იმას, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში აუცილებლად დარჩება. ქვიშხეთის სახლი ინახავს რაღაც ძალიან ძვირფასსა და მარადიულს და ჩვენ ეს სახლი უნდა დავიცვათ.

„ყიფიანების სასახლეს“ საბჭოთა წლებში პერიოდულად სხვადასხვა ნაგებობებს უმატებდნენ: კოტეჯებს, სასადილოს, მწერალთა საცხოვრებელ კორპუსს და სხვ. რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი კი ხელუხლებლად დარჩა. როცა იქაურები ახსენებენ „„ცაცხვები“, „ქვედა ბესედკა“, „აუზი“, „ბიბლიოთეკა“ და სხვა, მაშინვე ქვიშხეთის ზაფხულების თანმდევი განწყობა უცოცხლდებათ.

რატომ? რა ფასეულობებზე იდგა ეს ერთობა? რა იზიდავდა იქ ამდენ სხვადასხვა თაობის ადამიანს და რატომ სურდათ ყოველ მორიგ წელიწადს სწორედ ქვიშხეთში გატარებული ზაფხულის გამეორება?

მეორე ხაზი, რომელიც ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლს საჯარო მნიშვნელობას სძენს, სწორედ ამ კითხვებს წამოჭრის და კულტუროლოგიური

(დასასრული V გვერდზე)

# დაუსრულებელი ზაფხული

## (დასასრული)

ხასიათისაა. შესაძლოა, სხვაგან არსად არ არსებობდა საბჭოთა საქართველოში სივრცე, სადაც წლების განმავლობაში ამდენი სხვადასხვა თაობის ადამიანი ამხელა თავისუფლებას გრძნობდა.

გამომცემელი გია ქარჩხაძე უფრო კონკრეტულად ამბობს - „ქვიშხეთი იყო დახურული საზოგადოება,მაგრამ არავითარ შემთხვევაში - ელიტური. კარგი კვლევაც გამოვიდოდა ქვიშხეთის კომუნაზე. იშვიათად ჩნდება ხოლმე მიკროსოციუმი, რომელსაც თაობები ინარჩუნებენ მძაფრი თავდაპირველი მუხტით და კიდევ უფრო აძლიერებენ მას“.

„სინამდვილეში რა იყო ქვიშხეთი,- აგრძელებს გია,- ყოფითად ყოველგვარ კომფორტს მოკლებული, მერე და მერე კიდევ უფრო უკვე მიბანძებული, მოუვლელი ადგილი, სადაც ჩადიოდნენ ნაკლებად გავლენიანი მწერლები. სამი ასეთი დასასვენებელი სახლი ჰქონდა მწერალთა კავშირს: ბიჭვინთაში, გაგრასა და ქვიშხეთში. „ელიტები“ ბიჭვინთაში ისვენებდნენ, საშუალო ფენა - გაგრაში, დანარჩენები - ქვიშხეთში. მაგრამ ეს დანარჩენები იყვნენ დოჩანაშვილები, ჭეიშვილები, ქარჩხაძეები, ჭილაძეები, ამირეჯიბები - ადამიანები, რომლებიც ამ ზემდგომებთან დიდად დაახლოებული არ არიან, ნაკლები ფული აქვთ და უნდათ, რომ ზაფხულში ბავშვები იაფად, მაგრამ კარგ ჰაერზე გაიყვანონ. უბრალო ადგილი იყო, ამიტომ, არაგამოსაპრანჭი ადგილი. ძალიან შინაურული გარემო, სადაც ბევრი ადამიანი ცხოვრობდა. ამან წარმოშვა უცნაური მუხტი, რადგან მეგობრების ოთხმოც პროცენტზე მეტი ქვიშხეთიდან მყავს: ოთარ ყარალაშვილი, ქუცნა ამირეჯიბი, ბაკურ სულაკაური, ვახო ბაბუნაშვილი - ყველანი ვართ იქ ერთად, სხვა გასართობი არაფერია, მარტო ერთმანეთთან ურთიერთობა გვაკავშირებს და ზოგიერთებს - კიდევ მუსიკა. „სოფტ ეჯექტის“ პირველი კონცერტებიც იქ მოვაწყვეთ, იქ დავუკარით ერთად.

ვისაც სხვაგვარი გართობა მოსწონდა, ქვიშხეთში ვერ ძლებდა. ნაშებს იქ ვერ აყრიდნენ, მაგისთვის „პიცუნდა“ და დაგომისი ჰქონდათ. დისკოთეკა და რესტორანი უახლოეს კილომეტრებში არ იყო, ოთახები - პაწაწინა, სამაგიეროდ - გარემო იყო ლამაზი და თავისუფლების, განმარტოების კუნჭულები არსებობდა. ერთი ძველი კლუბი იყო სასადილოს ქვემოთ, სუნიანი, შმორიანი, ძველი დაობებული წიგნები ეწყო, მე იქ მიყვარდა ჩხირკედელაობა. კიდევ ჩავძვრებოდით უწყლო აუზში ღამით, ჩავიტანდით ჩემს მაგნიტოფონს, რომელსაც დღემდე ვინახავ და ვუსმენდით „პინკ ფლოიდს“. ასეთი ჯგუფური მოსმენები გვქონდა.

იქ გამოვიგონეთ თამაში „მაფია“. ის, რაც მერე გავრცელდა, გამარტივებული წესებითაა, ჩვენ ძალიან კარგი სტრუქტურა გვქონდა, ცხრა კაცი თამაშობს, ორჯერ ცხრა მაყურებელია და დიდი ამბავია.

მანამდე, უფრო ადრეული წლებიდან მახსოვს ვახტანგ ჯავახაძე, ნიკა აგიაშვილი.

კიდევ გურამ დოჩანაშვილი ჩამოდიოდა, უზარმაზარი საზამთრო მოჰქონდა, წავედით, ბავშვებო, საზამთრო ვჭამოთო. დიდი და კეთილი იყო და იღიმოდა, მაგრამ მე ვემალებოდი - არ მიყვარდა საზამთრო“.

თამუნა გეგეჭკორი, მსახიობი, გურამ გეგეჭკორის შვილი: „ქვიშხეთი არ არსებობს „კლოსის“, რეზო კვერენჩხილაძის გარეშე. ეს სახელი ბავშვებმა შეარქვეს მაშინ

სურათზე:ჯემალ ქარჩხაძე, ანა ჭაბაშვილი, გივი შაჰნაზარი, ვახტანგ ჯავახაძე.

ცნობილი წიგნისა და ფილმ „ოთხი ტანკისტისა და ძაღლის“ პერსონაჟის, კაპიტან კლოსის სახელის მიხედვით. დილაადრიან იწყებოდა კლოსის ომახიანი შეძახილი: „აბა, დილის გამამხნევებელი ვარჯიში! გაიღვიძეთ, ზედგინიძეებო, გეგეჭკორებო, რამიშვილებო, შაჰნაზარებო... ასე ჩამოთვლიდა ყველა გვარს. მერე მოდიოდა „მეორე ცვლა“ და იწყებოდა: „აბაა, ზარმაცების ვარჯიშიიი!“ და გამოვიდოდნენ ზარმაცებიც, სხვა რა გზა ჰქონდათ. ტყეშიც კლოსს დავყავდით, „წყნარ საათსაც“ ის გვინიშნავდა და ღამე იწყებოდა: „წვრილფეხობა იძინეეებს!“ - ანუ პატარების დაძინების დრო მოდიოდა“.

მარიშკა ჯავახაძე: „სულ პატარები ხშირად ვიყავით სტადიონთან და აუზთან, რომელშიც წყალი არ ესხა, ცაცხვებში ჩვენ არ შევდიოდით - იქ უფროსი ბავშვები იყვნენ. ასეთი რამეები და ჯემალ ქარჩხაძესთან ერთად ექსკურსიები ცხადად მახსოვს, დანარჩენების აღდგენას კი სლაიდებით ვახერხებ, მაგალითად, სეზონის ბოლოს დიდი შენობის აივანზე გამართული სპექტაკლებზე სულ ერთსა და იმავე სპექტაკლს ვდგამდით: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, მაგრამ ჩვენი მაყურებლები - მშობლები, ბებიები და ბაბუები მაინც ერთგულად, მოთმინებით გვიცქერდნენ. დეტალები შეიძლება ვეღარც გავიხსენო,სამაგიეროდ,მახსოვს ბედნიერების შეგრძნება. ახლაც, ბატონ გივი შაჰნაზარს რომ ვხვდები ხოლმე, არ შეიძლება დამშვიდობების მერე ბედნიერების შეგრძნება არ გამომყვეს - გივი შაჰნაზარი ჩემთვის ქვიშხეთთან ასოცირდება და თავში ჯაჭვური რეაქცია მერთვება“.

ჭაბუა ამირეჯიბის შვილის, ქუცნა ამირეჯიბის მოგონება:

„ქვემო „ბესედკაში“ მონარდეები ისხდნენ ხოლმე, ცალკე ადგილი ჰქონდათ პრეფერანსისტებს. ცაცხვებში კუნჭულები კი ჩვენი იყო. წუწაობას რომ ვიწყებდით, ეგ იყო ყოვლის მომცველი წუწაობა. სიგარეტსაც ვეწეოდით ჩუმად. ფეხბურთი გვქონდა ყოველ საღამოს. ხეებზე ძრომიალიც. მკვახე ვაშლების ჭამა. სიმინდების მოპარვა. მუსიკა. „ბითლებს“ გარეთაც უსმენდნენ, მაგრამ იქ სხვანაირად ჟღერდა. მზარეული სირო,რომლის გაკეთებულიც ყველაფერი ძალიან გემრიელი გვეჩვენებოდა. დაირეკებოდა თუ არა საუზმის ან სადილის ზარი, ეგრევე გვშივდებოდა. ერთი მაშინდელი ფილმიდან „კლოსი“ დაარქვეს მწერალთა სახლის თანამშრომელს, რეზო კვერენჩხილაძეს, რომელსაც ბავშვები უნდა ემწყემსა და წესრიგი უნდა დაემყარებიან,მაგრამ ჩვენ მაინც გვიან ვიძინებდით,მუსიკას ხმამაღლა ვუსმენდით,რა გაგვაჩერებდა. იქით დაღმართი იყო და, მახსოვს, ამ დაღმართში თავპირისმტვრევით ჩავრბოდით, ვერაფრით გამიგია, როგორ არ ვეცემოდით. ექსკურსიებზე დავდიოდით - ბულბულის ციხე მოშორებით იყო, რამდენჯერ ავსულვართ. ერთხელ ეკლესიის კარს მიყუდებული ვერიკო ანჯაფარიძე დავინახე, ტიროდა - ეს სცენა ცხადად მახსოვს, 12 წლის ვიყავი“.

ანა მარგველაშვილი, გივი მარგველაშვილისა და ნაირა გელაშვილის შვილი: „ქვიშხეთი სიხარულთან, დაუსრულებელ გართობასთან და თავისუფლებასთან ასოცირდება. მახსოვს, პოეტი მზია ხეთაგური ინდურ ცეკვებს გვასწავლიდა, ფერად ნაჭრებს ვიხვევდით ტანზე და ასე აჭრელებულები ვცეკვავდით. მახსოვს,ასაკის გამო არ დავიშვებოდი „ცაცხვებში“ და ველოდებოდი, როდის გავიზრდებოდი, რომ იქ უფროსებთან ერთად „დაბირჟავების“ უფლება მქონოდა,- თან გვიანობამდე. ძალიან გვაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდნენ ან, საერთოდ, რა ხდებოდა იქ. თუმცა, ისე შევწყვიტე ქვიშხეთში სიარული, „ცაცხვებში“ მხრებგამართული და წარბშეუხრელი ვერ მოვხვდი. ეს იყო აკრძალულის თუ დიდად ყოფნის საიდუმლო. ნეტა კიდევ

სურათზე:ჯემალ ქარჩხაძე, გივი შაჰნაზარი და გიორგი ზედგინიძე

დგას ის ცაცხვები?“.

მარიშკა ჯავახაძე მიამბობს: „ჩემთვის 4 წლის, მერე კი 7 და 8 წლის ბავშვისთვის, ჯადოსნური სიტუაცია იყო ეზოში, სადაც საღამოობით ყველანი ვიკრიბებოდით, ზოგი ჭორაობდა, ზოგი ნარდს თამაშობდა. ახლა რომ ვფიქრობ, უფროსებისთვისაც ქვიშხეთი იყო საბჭოთა კავშირის რუტინიდან გამოთიშვის საშუალება - იქ არ იყო საჭირო რუტინაში ყოფნა და გაჯგიმულად ჯდომა. იქ რომ მიდიოდნენ, მთელი ეპოქის ტვირთს იხსნიდნენ და თავისუფლდებოდნენ“.

გია ქარჩხაძე იგონებს: 1973 წელს, „სუპერსტარი“ რომ გამოვიდა მამაჩემს იაპონური მაგნიტოფონი „სანიო“ ჰქონდა და კასეტა „სუპერსტარის“ ჩანაწერით. 9 წლის ვარ და მახსოვს, ეზოში ხალხია შეკრებილი და „სუპერსტარს“ უსმენენ დიდები - ის დიდები ალბათ 35-36 წლის იყვნენ. იმ დროს ახალი შემოსული იყო იოგითა და ეზოთერიკით გატაცება. ჩვენი სახლის ბელეტაჟზე ვარჯიშობდნენ ხოლმე. ერთხელ შედის ვიღაც და ხედავს, რამდენიმე წყვილი ფეხია ჰაერში...“.

ქუცნა ამირეჯიბი: „ოაზისი იყო ჩემთვის იქაურობა, თავისუფალი ბავშვების ადგილი. ანტისაბჭოთა იქ ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ საიდანღაც მაინც ვიცოდით. გარშემო პიონერთა ბანაკებიც იყო, ერთი-ორჯერ გადავსულვართ მათთან და ნამდვილი საბჭოთა განწყობილებები დაგვხვედრია. გარეთ გაქანებული საბჭოთა წყობილება იდგა, მაგრამ აქ არ იგრძნობოდა. აქ თავისუფლება გვქონდა. ამ გარემოს ქმნიდნენ ოჯახები,რომლებმაც იცოდნენ,რა არის თავისუფლება. ბაბუაჩემმა იცოდა თქმა, დიდი ჭირი ან გატეხავს ადამიანს, ან გაწმენდსო. ეს ხალხი, ეტყობა, განიწმინდა - ანათებდნენ, ისეთები იყვნენ“.

ანა მარგველაშვილი: „ამასწინათ 1987 წელს ქვიშხეთში გადაღებული რამდენიმე ფოტო ვიპოვე: ხან ხეზე ვზივარ და ხან პატარა ღელეში მაქვს ფეხები ჩაყოფილი. იქაურობა თავისუფლების,სილაღის და უსაზღვრო სივრცის გამო მიყვარდა. ზოგჯერ გვერდითა ნაკვეთში გადავიპარებოდით ხოლმე,რომელიც ცოტა დამრეცი იყო,ბევრი ვაშლის ხე და თივის ზვინი იდგა. ჰოდა, მოვემზადებოდით კარგად და ელვის სისწრაფით დავეშვებოდით, მოვქროდით და ბოლოს ამ ზვინებში ვეფლობოდით. მგონი, ყველაზე მძაფრად ეს სირბილი და სილაღე მახსოვს“.

თამუნა გეგეჭკორი: „მახსოვს მსახიობი მედეა ბიბილეიშვილი, ულამაზესი ქალბატონი, რომელიც ცოტა ხნით ჩამოდიოდა და ყველა ელოდებდა, რადგან ვიცოდით, აუცილებლად ტაძარში წაგვიყვანდა, სადღაც შორს, და ესეც ერთგვარი რიტუალი იყო. პატარები სულმოუთქმელად ელოდნენ მამაჩემის, გურამ გეგეჭკორის ჩამოსვლასაც - მასთან ერთად ვერავინ მოიწყენდა. კონცერტებს მართავდა, იქვე, სპონტანურად ლექსებს წერდა, საოცარი იმიტატორი იყო. კიდევ მახსოვს, მამას ჰქონდა კინოპროექტორი, ფილმებს უშვებდა და ყველაფერს თვითონ ახმოვანებდა. ჩვენი სიცილი მთელს ქვიშხეთში ისმოდა. კიდევ მახსოვს, როგორ დასდევდნენ ბავშვები მამას: - გურამი ბიძია, გურამი ბიძია, კინო გაუშვით! და მე და ჩემი ძმაც უკან მივდევდით „გურამი ბიძიას“ ძახილით. ამას მამას მორიგი ხუმრობა მოჰყვებოდა ხოლმე, ლალი, გამოდი გარეთ, გამაგებინე, ვისია ეს ბავშვებიო.

ახლა რომ ვიხსენებ, ყველაფერი სხვანაირი იყო ქვიშხეთში: წვიმაც - როცა „ბესედკას“ აფარებდნენ თავს და ცაც - ვარსკვლავებით სხვანაირად მოჭედილი. ერთი დიდი დღესასწაული იყო იქაურობა“.

ამ ტექსტისთვის სხვადასხვა თაობის „ქვიშხეთელთა“ თითო-ოროლა მოგონება შეიკრიბა და ისინი ასობით სხვა ადამიანის ათასობით ცალკეულ ეპიზოდად იშლება, და, რაც დრო გადის, ფასი არასდროს ეკარგება. იმედი გვაქვს, ამ ტექსტს რომ წაიკითხავენ, მათაც გაუცოცხლდებათ მოგონებები.

გია ქარჩხაძესთან საუბარში წინა პლანზე წამოიწია ცნება „კულტუროლოგიური ფენომენი“ - სწორედ ამის გამო. ქვიშხეთმა ათწლეულებზე გადაჭიმული მოგონებების მთელი სერია შექმნა.

საბოლოოდ ქვიშხეთის მწერალთა სახლი იქცა ამბად ავტორიტატულ სისტემაში ყოველგვარი ღიად გამოხატული პროტესტის გარეშე წარმოქმნილი გამძლე, მყარი და მრავალფეროვანი მიკროსოციუმისა, რომელმაც ადამიანებს, მართალია, მხოლოდ ზაფხულობით, მაგრამ მაინც, ყოველდღიურ ყოფაში სილაღე და თავისუფლება აგრძნობინა - ქვიშხეთის ზაფხული,როგორც იდეა,ამიტომაც არასოდეს დამთავრდება.

თამარ ბაბუაძე,

წყაროები: ქარჩხაძეების არქივი,ანა ჭაბაშვილის არქივი,საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი

# დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი გამოფენა "წმინდა ფიროსმანს" უმასპინძლებს

გამოფენა გაიხსნება 15 ივლისს 14:00.

ამავე დღეს, 15:00 საათზე დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში ჩატარდება თსუ-ს იაპონური ენის ლექტორის თათია მემარნიშვილის ლექცია იაპონური ლიტერატურის შესახებ.

გამოფენა „წმინდა ფიროსმანი" ქვიშხეთში 15 აგვისტომდე დარჩება.

2022 წელს აღინიშნება იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბელე. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, იაპონიის საელჩო სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას გეგმავს.

ღონისძიებათა ფარგლებში, გამოფენამ "წმინდა ფიროსმანი" უკვე იმოგზაურა სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში,თბილისის ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში, დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორულ მუზეუმში.

პირველი გამოფენა 25 იანვარს თბილისში ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო ფიროსმანის იაპონელი მკვლევარის ჰარადა ტაკეჰიდეს ნამუშევრების ასლები. წარმატებული ბენეფისის შემდეგ გადაწყდა გამოფენის „მოგზაურობა" რეგიონებში მთელი წლის განმავლობაში, რათა უფრო მეტმა ხალმა შეიგრძნოს იაპონელი მხატვრის მიერ დანახული ფიროსმანი.

ინფორმაცია მხატვრის შესახებ: 1978 წელს ტაკეჰიდე ჰარადა ჩართული იყო გიორგი შენგელაიას ფილმის „ფიროსმანის" იაპონურ პრემიერაში. 24 წლის ასაკში იგი ისე მოიხიბლა ამ ფილმით და იმდენად დაინტერესდა მხატვრის ცხოვრებით და შემოქმედებით,რომ მას შემდეგ ფიროსმანი არასოდეს გამქრალა მისი ხსოვნიდან, მისი გულიდან და მისი შემოქმედებიდან.

# მარათონი - ხაშურში

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით, „შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები - 2022" -ის ფარგლებში, ხაშურში მარათონული გარბენა გაიმართა, სადაც 200 -ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა.

მარათონმა სტარტი, ქალაქ ხაშურში, აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში აიღო და გაგრძელდა რკინიგზის სადგურის მიმართულებით, ფინიშის ხაზად კი განისაზღვრა,პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული გმირების ხეივანი.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები. გოგონებს შორის პირველი ადგილის

მფლობელი გახდა ნუცა კილაძე, მეორე ადგილის მფლობელი-დარეჯან ქუთათელაძე, მესამე ადგილის მფლობელი-თათია მღებრიშვილი.

ვაჟებს შორის, პირველი ადგილის მფლობელი გახდა შაკო გიორგაძე, მეორე ადგილის მფლობელი-რეზი ჯელაძე,მესამე ადგილის მფლობელი-შოთა კიკნაძე.

მარათონის გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილზე გასულებს თასები და მედლები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ, კულტურის სამსახურისა და სპორტსკოლის წარმომადგენლებმა.

მარათონის მსვლელობის ორგანიზებაში, აქტიურად იყო ჩართული, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი.

„დღევანდელ მარათონში,ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობს,რაც ძალიან გვახარებს, გარდა აღნიშნული მარათონისა, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით,სხვადასხვა დროს გათვალისწინებულია შეჯიბრებების ჩატარება ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობასა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ღონისძიების მიზანია სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია."-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

მარათონული გარბენა, შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში - გორში, კასპში, ქარელსა და ხაშურში გაიმართა.

ქალაქ ხაშურში, ღონისძიების ორგანიზატორი იყო, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის განათლების კულტურის, სპორტის სამსახური და ა(ა)იპ სპორტსკოლა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს, შიდა ქართლის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს მარათონის ორგანიზებაში დახმარებისთვის.

## ლარისა ახალკაცის ხსოვნას



ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების კოლექტივმა სანიმუშო ადამინი, მეგობარი და კოლეგა დაკარგა. ლარისა ახალკაცი - ტკივილი, რომელიც მისი დაკარგვით განვიცადეთ, არასდროს განელდება და მუდამ გვემახსოვრება გამორჩეული სათნოებით, სიყვარულით, დიდი ადამინობით,კეთილშობილებით. მისგან ბევრს ვსწავლობდით -როგორ გვყავრებოდა, როგორი პროფესიონალიზმით გვეკეთებინა საქმე. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულში. მშვიდობით ძვირფასო ლარისა. .ნათელი ეფინოს შენს ლამაზ სულს.

საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.